მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარებისთვის

ბექა ადუაშვილი, სალომე გარდავა,

მუსტაფა სულეიმანოვი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების სკოლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. სოფიკო ლობჟანიძე

პროფ. დავით მალაზონია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბექა ადუაშვილი

სალომე გარდავა

მუსტაფა სულეიმანოვი

23.06.2024

მადლობა

კვლევის ავტორები მადლობას ვუხდით ქალაქ მარნეულის #5 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას და ამავე სკოლის მოსწავლეთა თვითთმართველობას პრაქტიკის კვლევის პროცესში აქტიური ჩართულობისთის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს აკადემიურ ხელმძღვანელებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, სოფიკო ლობჟანიძეს და დავით მალაზონიას რომლებიც გვაძლევდნენ საჭირო რჩევებს და რეკომენდაციებს კვლევის პროცესში. მათი უკუკავშირი და მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. კვლევა განხორციელდა ქ.მარნეულის #5 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის გზით სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარებისთვის მიზნით.

კვლევის მიზანია, სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობა მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშობის გზით.

ზემოთაღნიშნული ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სურვილს წარმოადგენს, ახალგაზრდების მონაწილოების გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურება და სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

კვლევის ფარგლებში, დიაგნოსტიკურ ეტაპზე გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები. მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა და ადმინისტრაციასთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო თუ რა მიმართულებით საჭიროებდა სკოლის თვითმმართველობა განვითარებას. ეს მიმართულება იყო თვითმმართველობის თანამშრომლობა სკოლის მიღმა არსებულ ორგანიზაციებთან და სხვა სკოლის თვითმმართველობებთან. დიაგნოსტიკური ეტაპის შედეგების ანალიზის მიხედვით დავგეგმეთ ინტერვენციები.

პრაქტიკის კვლევის ინტერვენციების ეტაპზე ვმუშაობდით მარნეულის #5 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, რომელთან ერთადაც მოხდა სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობა ჩვენ მიერ დაგეგმილი ინტერვენციების მეშვეობით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შემუშავდა მოდელი, რომელიც სხვა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობებსაც დაეხმარება სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროცესში. ასევე დაეხმარებათ მოსწავლეების გააქტიურებისა და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გაზრდაში.

პრობლემის მოსაგვარებლად დაგეგმილმა ინტერვენციებმა პრაქტიკის კვლევის მიმართ სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების პოზიტიური განწყობები გაზარდა.

გაანალიზებული და უკვე განხორციელებული ინტერვენციების საფუძველზე გამოვკვეთეთ საბოლოო შედეგი და გავეცით რეკომენდაციები, რომლის შესრულებაც სკოლასა და მოსწავლეთა თვითმმართველობებს დაეხმარებათ სკოლაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლეთა თვითმმართველობა, ახლაგზრდების მონაწილეობა, დემოკრატია, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება, ახალგაზრდების მონაწილეობის კიბე

Abstract

This master's thesis presents a practice research report conducted at Marneuli #5 Public School, focusing on student self-government to foster a democratic culture within the school community. The research aimed to enhance young individuals' participation in decision-making processes and activate student self-governance, promoting democratic values.

Under the initiative of school administration, this study selected the student self-government of Public School #5 of the city of Marneuli to implement interventions aimed at cultivating democratic culture both within the school and beyond. A model was developed to guide similar efforts in other educational institutions, aiming to increase student involvement in decision-making processes and promote democratic principles.

Within the research framework, qualitative research methods were used at the diagnostic stage. The focus groups conducted with students, teachers, and parents and the interviews conducted with the administration provided the direction that the self-government of the school needed development. This direction was self-government cooperation with organizations outside the school and with other school governments. Based on the analysis of the results of the diagnostic stage, we planned interventions.

A model was developed for the general educational institution, which will also help other school students' self-government in the process of promoting the development of democratic culture in the school. It will help to activate students and increase their involvement in the decision-making process as well.

The interventions implemented were designed to improve the attitudes of school administration and student self-government members toward the research objectives. Through analysis and implementation of these interventions, final outcomes were outlined,

accompanied by recommendations to aid the school and student self-government in addressing existing challenges effectively.

Keywords: student self-government, youth participation, democracy, community service learning, youth participation ladder.